მურთაზალიევა რუსეთის წინააღმდეგ

MURTAZALIYEVA v. RUSSIA

საჩივარი N36658/05

18/12/2018

დიდი პალატა

წინამდებარე საქმე ეხებოდა მომჩივნის (რომელიც იყო რუსეთის მოქალაქე და ეთნიკურად ჩეჩენი) საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება ტერორისტული თავდასხმის მომზადებისთვის იყო არასამართლიანი.

ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი, რადგან მას არ ჰქონია შესაძლებლობა დაენახა ან ეფექტურად შეეფასებინა სათვალთვალო კამერებით გადაღებული მასალა, რომელიც სასამართლო პროცესის დროს აჩვენეს, ვინაიდან იგი ვერ ხედავდა ეკრანს სასამართლო დარბაზში. მას ასევე არ მიეცა საშუალება სასამართლოში დაეკითხა პოლიციის თანამშრომელი, რომლის ქმედებებიც, მისი აზრით, შესაძლოა მიჩნეულიყო როგორც დანაშაულის წაქეზება და რომ მას არ მიეცა საშუალება გამოეძახა და დაეკითხა ორი მოწმე, რომლებიც ესწრებოდნენ იურიდიული დოკუმენტის შედგენას და შეეძლოთ დაედასტურებინათ მისი განცხადებები, მის ჩანთაში არსებულ ასაფეთქებელ ნივთიერებებთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (ბ) პარაგრაფები (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება/დაცვისთვის მომზადების უფლება), როდესაც მომჩივანს არ ჰქონია შესაძლებლობა სასამართლო პროცესის დროს ენახა ვიდეოჩანაწერი. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ბუნდოვანია, თუ რატომ არ იყო მომჩივნისთვის შესაძლებელი ვიდეოჩანაწერის დანახვა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ აბრკოლებდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მიზანს წარმოადგენდა შეემოწმებინა ვიდეოჩანაწერის სიზუსტე, რომელიც შესაძლებელი იყო აუდიოჩანაწერის მოსმენითაც. დიდმა პალატამ ასევე დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (დ) პარაგრაფები (საქმის სამართლიანი განხილვა/ მოწმის დაკითხვა), როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა უარი თქვეს გამოეძახათ და დაეკითხათ მოწმეები. დაცვის მხარის მოწმეთა გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დაცვის მხარეს არ განუმარტავს თუ რატომ იყო

მნიშვნელოვანი მოწმეთა დაკითხვა, ეროვნულმა სასამართლოებმა შესაბამისად დაასაბუთეს საკუთარი გადაწყვეტილებები და იმ ფაქტმა, რომ არ მომხდარა მათი დაკითხვა, ეჭვქვეშ არ დააყენა სამართალწარმოების სამართლიანობა. დიდმა პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია და მიუღებლად ცნო საჩივარი მე-6 მუხლის 1-ელ და მე-3 (დ) პარაგრაფებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კიდევ ერთი მოწმის, პოლიციის თანამშრომლის, დაკითხვას. დაადგინა, რომ მომჩივანმა შეძლო ესარგებლა მისი დაკითხვის უფლებით.

პარაგრაფები 165;166 და 171

165. ვინაიდან კონვენცია არ მოითხოვს ბრალდებულის სახელით ყველა მოწმის დასწრებას და დაკითხვას, ეროვნული სასამართლოებისგან არ არის მოსალოდნელი, რომ დეტალურ პასუხს გასცემენ დაცვის მხარის ყველა შუამდგომლობაზე, თუმცა სასამართლოები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ საკმარისი დასაბუთება (მსგავსი ლოგიკა ვრცელდება სასამართლოს ვალდებულებაზე, განიხილოს სააპელაციო საჩივარში წამოჭრილი არგუმენტები, იხ.: Van de Hurk v. the Netherlands, 19 აპრილი 1994, § 61, სერია A no. 288, და Boldea v. Romania, no. 19997/02, § 30, 15 თებერვალი 2007).

166. ზოგადად, კონკრეტული საქმის გარემოებებში, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცების (მოწმის ჩვენების) შესაბამისობა და მოყვანილი საფუძვლების საკმარისობა განსაზღვრავს ეროვნული სასამართლოების მიერ შეფასების ფარგლებსა და დეტალიზაციის დონეს იმის თაობაზე, რამდენად აუცილებელია მოწმის გამოცხადებისა და დაკითხვის აუცილებლობა. შესაბამისად, რაც უფრო ძლიერი და დამაჯერებელია დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, მით უფრო საფუძვლიანი უნდა იყოს საქმის შესწავლა და უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს ეროვნული სასამართლოების მსჯელობა, თუ ისინი უარს იტყვიან დაცვის მხარის მოთხოვნაზე მოწმის დაკითხვის შესახებ.

171. სასამართლო აღნიშნავს, რომ დაცვის მხარემ ბ.-სა და კ.-ს პოტენციური ჩვენების შესაბამისობის შესახებ მხოლოდ მოკლე მითითება გააკეთა. თუმცა, აღნიშნულ მითითებაში არ იყო წარმოდგენილი რაიმე კონკრეტული ფაქტობრივი ან სამართლებრივი არგუმენტები და კონკრეტულად არ განმარტებულა თუ როგორ შეიძლებოდა ბ-სა და კ-ს ჩვენებიდან გონივრულად მოსალოდნელი ყოფილიყო დაცვის მხარის არგუმენტების გაძლიერების მოლოდინი. დაცვის მხარემ ეს საკითხი არც თავის სააპელაციო საჩივარში დააკონკრეტა (იხ. ზემოთ, პუნქტი 63). იმის გათვალისწინებით, რომ თავად მომჩივანმა განაცხადა, რომ ასაფეთქებელი ნივთიერებები ხელმოწერის დამადასტურებელი მოწმეების მოსვლამდე იყო

ჩადებული (იხ. ზემოთ, პუნქტი 52), ამ მოწმეების დაკითხვისთვის დამატებითი საფუძვლები იქნებოდა საჭირო.